- [2] Varazanashvili O., Gaprindashvili G., Elizbarashvili E., Basilashvili Ts., Amiranashvili A. Principles of Natural Hazards Catalogs Compiling and Magnitude Classification. *Journal of the Georgian Geophysical Society, Physics of Solid Earth, Atmosphere, Ocean and Space Plasma*, e-ISSN:2667-9973, p-ISSN:1512-1127, vol. 25 (1), 2022, pp. 5-11. DOI: <https://doi.org/10.48614/ggs2520224794>
- [3] Gaprindashvili G., Varazanashvili O., Elizbarashvili E., Basilashvili T., Amiranashvili A., Fuchs S. GeNHs: The First Natural Hazard Event Database for the Republic of Georgia, EGU General Assembly 2023, Vienna, Austria, 24–28 Apr 2023, EGU23-1614, <https://doi.org/10.5194/egusphere-egu23-1614>.
- [4] Gaprindashvili M., Tsereteli E., Gaprindashvili G., Kurtsikidze O. Landslide and Mudflow Hazard Assessment in Georgia. *Building Knowledge for Geohazard Assessment and Management in the Caucasus and other Orogenic Regions* (eds. F. L. Bonali, F. P. Mariotto, N.Tsereteli). Springer. Part of the NATO Science for Peace and Security Series C: Environmental Security book series (NAPSC). Chapter 14, 2021, pp. 265-279.
- [5] Basilashvili Ts. Territorial Zonality by Annual Runoff. *National Atlas of Georgia*. Franz Steiner Verlag, Stuttgart, 2018, pp. 62.
- [6] Climate and Climatic Resources of Georgia. Leningrad, Gidrometeoizdat, 1971, 383 p.
- [7] Beck H.E., Zimmermann N.E., McVicar T.R., Vergopolan N., Berg A., Wood E.F. Present and Future Köppen-Geiger Climate Classification Maps at 1-km Resolution. *Scientific Data*, 2018, 5:180214, doi:10.1038/sdata.2018.214.
- [8] Varazanashvili O., Gaprindashvili G., Elizbarashvili E., Basilashvili Ts., Amiranashvili A., Fuchs S. The First Natural Hazard Event Database for the Republic of Georgia (GeNHs). *Catalog*, 2023, 270 p. <http://dspace.gela.org.ge/handle/123456789/10369>; DOI: 10.13140/RG.2.2.12474.57286
- [9] Amiranashvili A., Basilashvili Ts., Elizbarashvili E., Varazanashvili O. Catastrophic Floods in the Vicinity of Tbilisi. *Transactions IHM, GTU*, ISSN: 1512-0902, vol.133, 2023, pp. 56-61, (in Georgian), doi.org/10.36073/1512-0902-2023-133-56-61; <http://openlibrary.ge/bitstream/123456789/10337/1/133-11.pdf>
- [10] Amiranashvili A., Elizbarashvili E., Varazanashvili O., Pipia M. Statistical Analysis of the Number of Days with Hail During the warm Season in Tbilisi in 1891-2021. *Transactions IHM, GTU*, ISSN: 1512-0902, vol.133, 2023, pp.74-77, (in Georgian), doi.org/10.36073/1512-0902-2023-133-74-77; <http://openlibrary.ge/bitstream/123456789/10340/1/133-14.pdf>
- [11] Amiranashvili A., Bolashvili N., Elizbarashvili E., Liparteliani G., Suknidze N., Tsirgvava G., Varazanashvili O. Statistical Analysis of the Number of Days with Hail and Damage to Agricultural Crops from it in Kvemo Kartli (Georgia). *Int. Sc. Conf. "Geophysical Processes in the Earth and its Envelopes"*. Proceedings, ISBN 978-9941-36-147-0, Publish House of Iv. Javakhishvili Tbilisi State University, November 16-17, 2023, pp. 133-137. <http://www.openlibrary.ge/handle/123456789/10419>
- [12] Amiranashvili A., Elizbarashvili E., Pipia M., Varazanashvili O. Expected Changes of the Number of Days with Hail in Tbilisi to 2085. *Int. Sc. Conf. "Geophysical Processes in the Earth and its Envelopes"*. Proceedings, ISBN 978-9941-36-147-0, Publish House of Iv. Javakhishvili Tbilisi State University, November 16-17, 2023, pp. 138-142. <http://www.openlibrary.ge/handle/123456789/10420>
- [13] Varazanashvili O., Gaprindashvili G., Elizbarashvili E., Amiranashvili A., Basilashvili Ts., Fuchs S. New Natural Hazard Event Database for the Republic of Georgia (GeNHs): Catalogs Compiling Principles and Results. *Int. Sc. Conf. "Geophysical Processes in the Earth and its Envelopes"*. Proceedings, ISBN 978-9941-36-147-0, Publish House of Iv. Javakhishvili Tbilisi State University, November 16-17, 2023, pp. 185-187, (in Georgian). http://109.205.44.60/bitstream/123456789/10431/1/44_IG_90.pdf

- [14] Elizbarashvili E., Varazanashvili O., Lagidze L., Pipia M., Chikhladze V. About Strong Winds in Kakheti Region. Int. Sc. Conf. "Geophysical Processes in the Earth and its Envelopes". Proceedings, ISBN 978-9941-36-147-0, Publish House of Iv. Javakhishvili Tbilisi State University, November 16-17, 2023, pp. 156-160, (in Georgian). <http://www.openlibrary.ge/handle/123456789/10424>
- [15] Basilashvili Ts. Spatio-Temporal Development of Floods of Georgian Rivers. Int. Sc. Conf. "Geophysical Processes in the Earth and its Envelopes". Proceedings, ISBN 978-9941-36-147-0, Publish House of Iv. Javakhishvili Tbilisi State University, November 16-17, 2023, pp. 90-93, (in Georgian). <http://dspace.gela.org.ge/handle/123456789/10408>
- [16] Kartvelishvili L., Tatishvili M., Amiranashvili A., Megrelidze L., Kutaladze N. Weather, Climate and their Change Regularities for the Conditions of Georgia. Monograph, Publishing House "UNIVERSAL", ISBN: 978-9941-33-465-8, Tbilisi 2023, 406 p., <https://doi.org/10.52340/mng.9789941334658>

**ბუნებრივი საშიშროებების მოვლენების ახალი პარამეტრული
კატალოგები საქართველოსთვის**

ვარაზანაშვილი ო., გაფრინდაშვილი გ., ელიზბარაშვილი ე., ამირანაშვილი ა.,
ბასილაშვილი ც., ფუქსი ს.

რეზიუმე

წარმოდგენილია საქართველოს რესპუბლიკის ბუნებრივი საშიშროებების მოვლენების ახალი მონაცემთა ბაზა და ნაჩვენებია შეგროვებული მონაცემების ინტერპრეტაციისათვის აუცილებელი ზონირების შედეგები.

საკვანძო სიტყვები: ბუნებრივი საშიშროება, მეწყერი, ღვარცოფი, წყალმოვარდნა, გრიგალური ქარი, სეტყვა.

NEW PARAMETRIC CATALOGS OF NATURAL HAZARD EVENTS FOR GEORGIA

**Varazanashvili O., Gaprindashvili G., Elizbarashvili E., Amiranashvili A.,
Basilashvili Ts., Fuchs S.**

Abstract

New database of natural hazard events for the Republic of Georgia is presented and the results of zoning necessary for interpreting the compiled data are shown.

Key words: natural hazard, landslide, flood, water fall, gale force wind, hail.

**НОВЫЕ ПАРАМЕТРИЧЕСКИЕ КАТАЛОГИ ОПАСНЫХ
ПРИРОДНЫХ ЯВЛЕНИЙ ДЛЯ ГРУЗИИ**

**Варазанашвили О., Гаприндашвили Г., Элизбарашвили Э., Амيرانашвили А.,
Басилавши Ц., Фукс С.**

Реферат

Представлена новая база данных опасных природных явлений для Республики Грузия и показаны результаты районирования, необходимые для интерпретации собранных данных.

Ключевые слова: природная опасность, оползень, наводнение, водопад, ураганный ветер, град.

საქართველოში სეტყვასაწინააღმდეგო სამუშაოების შედეგები 2016-2022 წლებში

^{1,2}კაჭარავა გ., ^{1,2}ბერულავა ნ., ^{2,3}მოდრეკელიძე მ., ¹კვეციანი ე., ¹გელოვანი გ.

¹სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო – ტექნიკური ცენტრი „დელტა“, თბილისი, საქართველო
²ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

³გარემოს ეროვნული სააგენტო
giorgi.katcharava301@ens.tsu.edu.ge

შესავალი

ატმოსფერულ მოვლენებზე აქტიური ზემოქმედება, ჩვენი ქვეყნისთვის, პრაქტიკული კუთხით, ძალიან მნიშვნელოვანია.

1961 წლიდან საქართველოში შეიქმნა სეტყვასთან ბრძოლის სამსახური, რასაც წინ უძღოდა თითქმის ათწლიანი კვლევები სეტყვასაშიში პროცესებისა და სეტყვისგან დაცვის შესაძლო ღონისძიებათა შესახებ. საბჭოთა კავშირის დაშლამ გამოიწვია ზემოთ ხსენებული სამსახურის გაუქმება [1-4,8,13].

2015 წელს სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო ტექნიკური ცენტრის „დელტა“-ს ბაზაზე შეიქმნა სეტყვის საწინააღმდეგო სისტემების მართვის სამმართველო [6-7]. მისი მუშაობა ეფუძნება მეთოდებს [8]. აღსანიშნავია, რომ ჩვენ ვმუშაობთ ორიგინალური, სრულიად კომპიუტერიზებული სარაკეტო სისტემით, მეტეოინფორმაციის მისაღებად გამოიყენება თანამედროვე გერმანული წარმოების მაღალტექნოლოგიური მეტეოროლოგიური რადიოლოკატორი, METEOR 735 CDP 10-Doppler Weather Radar, რომელიც ამომწურავ და დეტალურ ინფორმაციას გვაწვდის ღრუბლების პარამეტრების შესახებ [2,6,7]. ამჟამად სახელმძღვანელო დოკუმენტად გამოიყენება: „სეტყვის საწინააღმდეგო სისტემების დეპარტამენტის ბუნებრივ მოვლენებზე ზემოქმედების სამმართველო სახელმძღვანელო დოკუმენტი, 2022“

რეგულარულად ტარდებოდა განახლებული სეტყვასაწინააღმდეგო სამსახურის მუშაობის შედეგების განხილვა და ანალიზი. 2015-2022 წწ. კვლევების შედეგები გამოქვეყნებულია ნაშრომებში [5,9-12,14]. ეს სამუშაო წარმოადგენს წინა წლებში ჩატარებული კვლევების გაგრძელებას.

შედეგები

XX საუკუნის 60-იანი წლებიდან, სეტყვის საწინააღმდეგო სამსახურის ამოქმედებისას, მის ამოქმედებამდე პერიოდთან შედარებით, საერთო ზარალის მოცულობა კახეთის რეგიონში შემცირდა დაახლოებით 70-80%-ით.

ცხრილი 1. ჩატარებული ზემოქმედების დღეთა რაოდენობა

თვე	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
აპრილი	2	4	1	7	1	8	7
მაისი	10	20	10	16	10	11	11
ივნისი	15	17	12	10	11	11	19
ივლისი	4	9	10	9	12	15	4
აგვისტო	0	1	4	3	8	7	1
სექტემბერი	6	5	3	4	4	4	5
ოქტომბერი	2	0	0	1	0	1	0
ჯამი	39	56	40	50	46	57	47
საშუალო	47						

წარმოდგენილ სტატიაში ჩვენ შევეცადეთ გავვეკეთებინა 2016-2022 წლების მონაცემების სისტემატიზირება, შეჯამება და შედარებითი ანალიზი. აგრეთვე, შედარებისთვის, ავიღეთ 80-იანი წლების რამდენიმე მონაცემი. საშუალოდ 2016-2022 წლებში სეზონზე იყო 47 დღე, როდესაც საჭირო გახდა სეტვასაშიშ ღრუბლებზე აქტიური ზემოქმედება. ამასთან ასეთი დღეების მინიმალური რაოდენობა დაფიქსირდა 2016 წელს (39 დღე), მაქსიმალური 2021 წელს (57 დღე).

ცხრილი 2. დამუშავებული კერების რაოდენობა

თვე	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
აპრილი	0	27	12	16	2	49	19
მაისი	31	108	72	59	42	38	55
ივნისი	75	79	72	34	59	59	127
ივლისი	12	28	21	39	51	70	8
აგვისტო	0	9	14	4	33	25	1
სექტემბერი	44	23	9	12	13	11	17
ოქტომბერი	6	0	0	2	0	2	0
ჯამი	168	274	200	166	200	254	227
საშუალო	212						

დამუშავებული კონვექტიური უჯრედების (კუ) რაოდენობა 2016-2022 წლებში, საშუალოდ შეადგენდა 212, ამასთან ყველაზე ნაკლები (166 კუ) დასამუშავებელი კონვექტიური უჯრედი დაფიქსირდა 2019 წელს, ხოლო ყველაზე მეტი – 2017 წელს (274 კუ).

2016-2022 წლებში, დაზიანების სხვადასხვა პროცენტით საშუალოდ ზიანდებოდა 7039 ჰა ფართობი(დაცული ტერიტორიის დაახლოებით 1,24%), ხოლო 100%-ზე დაყვანით-3347 ჰა. (რაც დასაცავი ტერიტორიის 0,6 %-ს შეადგენს).

**ცხრილი 3. დაზიანებული ფართობი. საერთო დაზიანებული ფართობები (ზედა სვეტი),
დაზიანების 100%-ზე დაყვანილი მონაცემები (ქვედა სვეტი).**

თვე	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
აპრილი	300	0	0	1290	0	915	820
	60	0	0	612	0	340	112
მაისი	4723	4965	860	4721	747	1040	0
	2503	1922	357	1470	273	530	0
ივნისი	1398	3125	1361	220	909	1306	2549
	671	1376	495	54	413	813	1258
ივლისი	1987	496	0	1455	5682	0	0
	777	106	0	521	2955	0	0
აგვისტო	0	0	1220	0	683	4615	0
	0	0	842	0	297	3924	0
სექტემბერი	60	338	794	230	147	315	0
	28	104	345	33	59	179	0
ოქტომბერი	0	0	0	0	0	0	0
	0	0	0	0	0	0	0
ჯამი	8468	8924	4235	7916	8168	8191	3369
	4039	3508	2039	2690	3997	5786	1370
საშუალო	7039/3347						

დასაცავი ტერიტორიების საერთო ფართობი 2017 წლის მონაცემებით შეადგენდა 568000 ჰა-ს, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო-სავარგულების ფართობია 258000 ჰა. (მთლიანი ფართობის 45%), სათიბ-სამოვრების საერთო ფართობი კი 309000 ჰა, რაც საერთო ფართობის 55%-ია. დასაცავ ტერიტორიაზე დაფიქსირდა მყარი ნალექის (სეტყვა, ხორხოშელა) და თანმხვედრი მოვლენების (ქარიშხალი, ძლიერი თქეში) მოსვლის 14 შემთხვევა. სტიქიისგან დაზიანებულმა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების საერთო ფართობმა შეადგინა 8924 ჰა დაზიანების სხვადასხვა პროცენტით. დაზიანების 100%-ზე დაყვანილი ფართობია 3508 ჰა-ს, რაც შეადგენს სავარგულების საერთო ფართობის (სათიბ-სამოვრებთან ერთად) 1,6%-ს, ხოლო სათიბ-სამოვრების გარეშე 3,4%-ს.

დასაცავი ტერიტორიების საერთო ფართობი 2018 წლის მონაცემებით შეადგენდა 568000 ჰა-ს (სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობი 257005 ჰა, რაც დასაცავი ტერიტორიის 45,4%-ია), სათიბ-სამოვრების საერთო ფართობი იყო 308780 ჰა, რაც საერთო ფართობის 54,6%-ია. 6 ადმინისტრაციულ ერთეულში დაფიქსირდა მყარი ნალექის (სეტყვა, ხორხოშელა) მოსვლის 11 შემთხვევა. სტიქიისგან დაზიანებულმა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების საერთო ფართობმა შეადგინა 4360 ჰა დაზიანების სხვადასხვა პროცენტით,

რაც შეადგენს დასაცავი ტერიტორიის მთლიანი ფართობის 0.8%-ს, ხოლო სასოფლო სამეურნეო სავარგულების 1,7%-ს. დაზიანების 100%-ზე დაყვანილი ფართობია 2039 ჰა-ს, რაც შეადგენს დასაცავი ტერიტორიის მთლიანი ფართობის 0.4%-ს, ხოლო სავარგულების მთლიანი ფართობის 0.8%-ს.

2019 წლის მონაცემებით დასაცავი ტერიტორიის საერთო ფართობი შეადგენდა 570000ჰა-ს. მათ შორის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობი 268000 ჰა, რაც საერთო ფართობის 47%-ია ხოლო, სათიბ-საძოვრები კი შეადგენდა 301600 ჰა-ს (53%). დასაცავი ტერიტორიის ყველა(ახმეტა, თელავი, ყვარელი, ლაგოდეხი, საგარეჯო, გურჯაანი, სიღნაღი და დედოფლისწყარო) ადმინისტრაციულ ერთეულში აღინიშნა მყარი ნალექი. მთლიანობაში 53-ჯერ საჭირო გახდა აქტიური ზემოქმედების ჩატარება (ჯამში დამუშავდა 174 კუ). 10-ჯერ დაფიქსირდა სეტყვის მოსვლა, 43 შემთხვევაში სასოფლო-სამეურნეო სავარგულები არ დაზიანებულა. 10 შემთხვევაში კი 7 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაზიანდა 7916 ჰა, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაზიანების სხვადასხვა პროცენტით, დაზიანების 100%-ზე დაყვანილი ფართობი შეადგენდა 2690 ჰა-ს.

2016-2022 წლებში საშუალოდ წელიწადში იყო 47 სეტყვიანი დღე, აქედან 10,4 შემთხვევაში დაფიქსირდა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ნათესების, ბალ-ვენახების და ა.შ. სეტყვისგან დაზიანება.

ცხრილი 4. 2016-2022 წლების დაზიანებული ფართობების სტატისტიკური მონაცემები. საერთო დაზიანებული ფართობები (ზედა სვეტი), დაზიანების 100%-ზე დაყვანილი მონაცემები (ქვედა სვეტი).

თვე	საშუალო	სტანდარტული გადახრა	სტანდარტული ცდომილება	ვარიაციის კოეფიციენტი, %
აპრილი	475	530	216	112
	161	233	95	145
მაისი	2437	2239	914	92
	1008	957	391	95
ივნისი	1553	981	401	63
	726	469	191	65
ივლისი	1374	2057	840	150
	623	1073	438	172
აგვისტო	931	1692	691	182
	723	1445	590	200
სექტემბერი	269	263	107	98
	107	121	49	113
ოქტომბერი	0	0	0	-
	0	0	0	-

ცხრილ 4 მოყვანილია 2016-2022 წლის დაზიანებული ფართობების სტატისტიკური მონაცემები.

კერძოდ როგორც ცხრილი 4 ჩანს ყველაზე დიდი ზიანი მოცემული იყო მაისის თვეში (საერთო ფართობი 2437 ჰა, ხოლო 100%-ზე დაყვანილი მონაცემებით-1008 ჰა.) ყველაზე მცირე ზიანი საშუალოდ მოცემული იყო სექტემბრის თვეში (საერთო ფართობი 269 ჰა, ხოლო 100%-ზე დაყვანილი მონაცემებით-107 ჰა.)

დასკვნა

კვლევის შედეგებით მიღებული დასკვნები ბუნებრივად შეიცავს გარკვეულ რეკომენდაციებსაც.

სეტყვის საწინააღმდეგო სისტემების ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად საჭიროა მთელი რიგი ღონისძიებების ჩატარება:

1. მეტეოროლოგიური რადიოლოკატორის დამატება, რომელიც მოხსნის არსებული რადარის თავზე ე.წ. „მკვდარი ზონის“ არსებობას. ასევე მოგვცემს სეზონის განმავლობაში არსებული რადარის გადატვირთვის საშუალებას. ე.ი. ჩავატარებთ პროფილაქტიკურ სამუშაოებს, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის მის ექსპლუატაციის ვადას.
2. განსხვავებული პარამეტრების მქონე რაკეტების შესყიდვა, რომელიც თავისი მახასიათებლებით ორჯერ (ზოგიერთ კომპონენტებში 3-ჯერ) აღემატება არსებულს.
3. დანადგარების რაოდენობის გაზრდა, რადგან სრულფასოვნად დაიფაროს დასაცავი ტერიტორია და შეიქმნას ე.წ. „ბუფერული ზონა“ (დასაცავ ტერიტორიაზე შემოსვლამდე, სეტყვასაშიში ღრუბლების წინასწარი დამუშავება, რათა თავიდან ავიცილოთ მათი გაძლიერება); ამასთან ახალი ტიპის რაკეტებისთვის საჭიროა შესაბამისი ტიპის დანადგარები, არსებული დანადგარების მოდერნიზაცია.
4. ეტაპობრივად გადავიდეთ ოპტიკურ-ბოჭკოვან კავშირზე, რაც უზრუნველყოფს კავშირთან დაკავშირებული არსებული ხარვეზების აღმოფხვრას.
5. სამეცნიერო საქმიანობის გაძლიერება: სტატიების, მონოგრაფიების და ა.შ. გამოცემა, კონფერენციებში, სიმპოზიუმებში და ა.შ. მონაწილეობის მიღება. ჩვენი ორიგინალური სეტყვასაწინააღმდეგო სისტემის საერთაშორისო დონეზე პოპულარიზაცია, მეთოდის დახვეწა. იმ ქვეყნებში, სადაც შექმნილია სეტყვასაწინააღმდეგო სამსახური, მოხდეს კადრების გაცვლით პროგრამაში ჩართვა, რათა ერთმანეთს გავუზიაროთ გამოცდილება და გავაუმჯობესოთ მუშაობა. ამასთან აუცილებელია არსებული სამუშაოების პოპულარიზაცია და მოსახლეობასთან კომუნიკაციის გაძლიერება, სეტყვასაშიშ ღრუბლებზე აქტიურ ზემოქმედებასთან დაკავშირებული ცნობიერების გაზრდა.

ლიტერატურა – References – Литература

- [1] Amiranashvili A. History of Active Effects on Atmospheric Processes in Georgia. In the book: Essays of the History of Weather Modification in the USSR and the Post-Soviet Territory, ISBN 978-5-86813-450-0, St. Petersburg, RSHMU, 2017, 352 pp., ill., pp. 234-254, (in Russian), <http://mig-journal.ru/toauthor?id=4644>
- [2] Amiranashvili A., Chikhladze V., Dzodzuashvili U., Ghlonti N., Sauri I., Telia Sh., Tsintsadze T. Weather Modification in Georgia: Past, Present, Prospects for Development. Int. Sc. Conf. “Natural Disasters in Georgia: Monitoring, Prevention, Mitigation”. Proceedings, ISBN 978-9941-13-899-7, Publish House of Iv. Javakhishvili Tbilisi State University, December 12-14, Tbilisi, 2019, pp. 216-222, <http://dspace.gela.org.ge/handle/123456789/8613>
- [3] Amiranashvili A., Dzodzuashvili U., Lomtadze J., Sauri I., Chikhladze V. Some characteristics of hail processes in Kakheti. Transactions of Mikheil Nodia Institute of Geophysics, vol. 65, ISSN 1512-1135, Tb., 2015, pp. 77-100, (in Russian).

- [4] Amiranashvili A., Kveselava N., Ghlonti N, Chikhladze V., Tsintsadze T. History of Active Actions on the Natural Phenomena in Georgia. Int. Sc. Conf. „Modern Problems of Ecology“, Proc., ISSN 1512-1976, v. 7, Tbilisi-Telavi, Georgia, 26-28 September, 2020, pp. 147-152, (in Georgian). http://www.dspace.gela.org.ge/bitstream/123456789/8797/1/Eco_2020_3.21.pdf
- [5] Varazanashvili O., Gaprindashvili G., Elizbarashvili E., Basilashvili, Ts., Amiranashvili A., Fuchs S. The First Natural Hazard Event Database for the Republic of Georgia (GeNHs). Catalog, 2023, 270 p. <http://dspace.gela.org.ge/handle/123456789/10369>; DOI: 10.13140/RG.2.2.12474.5728
- [6] Amiranashvili A., Chikhladze V., Dzodzuashvili U., Ghlonti N., Sauri I. Reconstruction of Anti-Hail System in Kakheti (Georgia). Journal of the Georgian Geophysical Society, Issue B. physics of atmosphere, Ocean and Space Plasma, v. 18B, 2015, p.92-106.
- [7] Amiranashvili A., Burnadze A., Dvalishvili K., Gelovani G., Glonti N., Dzodzuashvili U., Kaishauri M., Kveselava N., Lomtadze J., Osepashvili A., Sauri I., Telia S., Chargazia Kh., Chikhladze V. Resumption of Work to Combat Hail in Kakheti. Transactions of Mikheil Nodia Institute of Geophysics, vol. 66, ISSN 1512-1135, Tb., 2016, p. 14-27, (in Russian).
- [8] Abshaev A., Abshaev ., Berekova M., Malkarova A. Guidelines for Organizing and Carrying out Anti-Hail Work. ISBN 978-5-905770-54-8, Nalchik, "Printing Yard", 2014, 500 p.
- [9] Amiranashvili A., Kveselava N., Kvilitaia N., Sauri I., Shavlakadze Sh., Chikhladze V. Some Results of Anti-Hail Works in Kakheti into 2016-2020. Trans. of M. Nodia Institute of Geophysics, ISSN 1512-1135, vol. LXXII, Tbilisi, 2020, pp. 123-128. (in Georgian). http://www.dspace.gela.org.ge/bitstream/123456789/8934/1/15_Tr_72_2020.pdf
- [10] Amiranashvili A., Chikhladze V., Kveselava N., Kvilitaia N., Sauri I., Shavlakadze Sh. Some Characteristics of Hail Processes in Kakheti (Georgia) According to Radar Observations into 2016-2019. Journal of the Georgian Geophysical Society, ISSN: 1512-1127, Physics of Solid Earth, Atmosphere, Ocean and Space Plasma, v. 23(2), 2020, pp. 50 – 56. DOI: <https://doi.org/10.48614/ggs2320202729>
- [11] Amiranashvili A., Chikhladze V., Kveselava N., Sauri I. Some Results of Anti-Hail Works in Kakheti into 2016-2019. Int. Sc. Conf. „Modern Problems of Ecology“, Proc., ISSN 1512-1976, v. 7, Tbilisi-Telavi, Georgia, 26-28 September, 2020, pp. 153-156. <http://www.dspace.gela.org.ge/handle/123456789/8798>
- [12] Amiranashvili A., Liev K., Kveselava N., Chikhladze V. Comparative Analysis of the Results of Anti-Hail Works in Kakheti (Georgia) and the North Caucasus (Russia) in 2016-2020. All-Russian open conference on the physics of clouds and active influences on hydrometeorological processes. Reports, ISBN 978-5-907150-93-5, Nalchik, September 8-10, 2021, p. 400 – 404.
- [13] Сулаквелидзе Г.К., Бибилашвили Н.Ш., Лапчева В.Ф. Образование осадков и воздействие на градовые процессы. Л., Гидрометеоиздат, 1965, 203 с.
- [14] კაჭარავა გ., ბერულავა ნ., მოდრეკელიძე მ., კეკეწაძე ე., გელოვანი გ. საქართველოში სეტყვ-ვასაწინააღმდეგო სამუშაოების მოკლე მიმოხილვა. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „დედამიწასა და მის გარსებში მიმდინარე გეოფიზიკური პროცესები“. შრომები, ISBN 978-9941-36-147-0, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, საქართველო, 16–17 ნოემბერი, 2023 წ., გვ. 347-349. <http://dspace.gela.org.ge/handle/123456789/10471>

**საქართველოში სეტყვასაწინააღმდეგო სამუშაოების
შედეგები 2016-2022 წლებში**

კაჭარავა გ., ბერულავა ნ., მოდრეკელიძე მ., კეკეწაძე ე., გელოვანი გ.

რეზიუმე

მოყვანილია კახეთის რეგიონში 2016-2022 წწ. სეტყვასაწინააღმდეგო სამუშაოების ზოგიერთი შედეგები, განვითარებული სეტყვის პროცესების შესახებ სტატისტიკური მონაცემები, გაკეთებული გარკვეული დასკვნები და წარმოდგენილია მთელი რიგი რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: სეტყვა, სეტყვის პროცესი, აქტიური ზემოქმედება, დასაცავი ტერიტორია.

RESULTS OF ANTI-HAIL WORK IN GEORGIA IN 2016-2022

Katcharava G., Berulava N., Modrekeldze M., Kekenadze E., Gelovani G.

Abstract

Some results of anti-hail work in the Kakheti region of Georgia in 2016-2022 are presented, statistical data on the developed hail processes are presented, and some conclusions are drawn.

Key words: hail, hail process, active impact, protected area.

ИТОГИ ПРОТИВОГРАДОВЫХ РАБОТ В ГРУЗИИ В 2016-2022 ГГ.

Качарава Г., Борулава Н., Модрекелидзе М., Кекенадзе Э., Геловани Г.

Реферат

Приведены некоторые результаты противоградовых работ в Кахетинском регионе Грузии в 2016-2022 гг., представлены статистические данные о развившихся градовых процессах, сделаны некоторые выводы.

Ключевые слова: град, градовый процесс, активное воздействие, защищаемая территория.

ვ ი ხ ს ე ნ ე ბ თ კ ო ლ ე გ ე ბ ს

მურმან კვინიკაძე (1940-2022)

2022 წელს 26 აგვისტოს გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ქართველი მეცნიერი, გეოლოგი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი, საქართველოს ეროვნული პრემიის ლაურეატი, თსუ ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტის გეოეკოლოგიის და გამოყენებითი გეოქიმიის სამეცნიერო-კვლევითი განყოფილების დამაარსებელი და უცვლელი ხელმძღვანელი ბატონი მურმან კვინიკაძე.



ბატონი მურმან კვინიკაძე დაიბადა 1940 წლის 10 აგვისტოს ქ. ზესტაფონში. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ყაზანის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1966 წელს.

1960-1968 წლებში მუშაობდა შორეულ ჩრდილოეთში (ვერხოიანსკი) იაკუტიის ცენტრალური გეოლოგიური ექსპედიციის ინჟინერ-გეოლოგად.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ, 1968-1973 წლებში, მუშაობდა საქართველოს – გეოლოგიურ დეპარტამენტში, ხოლო 1973 წლიდან გარდაცვალებამდე – ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტში. 1985-1988 წლებში მივლინებული იყო ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის გეოლოგიურ დეპარტამენტში და მუშაობდა გეოლოგ-კონსულტანტად ცენტრალურ სახარაში.

ბატონი მურმან კვინიკაძის ინიციატივით 2000 წლიდან ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტში გაიხსნა გეოეკოლოგიის და გამოყენებითი გეოქიმიის განყოფილება, რომლის ძირითადი მიმართულება იყო მინერალური ნედლეულის მოპოვებისა და დამუშავების პროცესებში წარმოქმნილი ეკოლოგიური პრობლემების შესწავლა-შეფასება, სხვადასხვა მასშტაბის გეოეკოლოგიური რუკების შედგენა.

მ. კვინიკაძეს მონაწილეობა ჰქონდა მიღებული ქვეყნისათვის მნიშვნელოვან პროექტებში, კერძოდ:

- ვლადიკავკაზი-თბილისი-ერევნის გაზსადენის დერეფნის ეკოლოგიური პრობლემების შესწავლა;
- ცენტრალური აზიის ატლასისათვის საქართველოს გეოეკოლოგიური რუკების კომპლექტის (11 ცალი) შედგენა;

- E60 ტრანსკავკასიური ავტომაგისტრალის იგოეთი-რუისის მონაკვეთის ეკოლოგიური უსაფრთხოების სამუშაოებში;
- მისი უშუალო ხელმძღვანელობით განხორციელდა შავი ზღვის, მისი სანაპირო ზოლის (საქართველოს მონაკვეთი) და მდინარე რიონის აუზის კომპლექსური გეოეკოლოგიური შესწავლა-შეფასება. დასკვნები წარედგინა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროებს;
- მადნეულის ოქროსა და სპილენძ-პოლიმეტალური საბადოს და მისი მიმდებარე ტერიტორიის გეოეკოლოგიური შეფასება;
- საქართველოს მინერალური რესურსების და გეოლოგიური გარემოს ინფორმაციული სისტემების შექმნა;
- საერთაშორისო პროგრამა „კავკასიის ატლასი“, სადაც ხელმძღვანელობდა გეოეკოლოგიურ სამუშაოებს, რის შედეგადაც შეიქმნა საქართველოს ტერიტორიის 1:1 000 000 მასშტაბის გეოეკოლოგიური რუკა, საქართველოს ტერიტორიის ბუნებრივი და ტექნოგენური მდგომარეობის 1:500 000 მასშტაბის გეოეკოლოგიური რუკა და სხვ.

2010 წელს მიღებული ჰქონდა საქართველოს ეროვნული პრემია მონოგრაფიაში „საქართველოს ეკოლოგიური უსაფრთხოების კონცეფცია“.

ბატონმა მურმან კვინიკაძემ გამოაქვეყნა 66 სამეცნიერო ნაშრომი გეოქიმიაში, პეტროგრაფიაში და გეოეკოლოგიაში. აქტიურად მონაწილეობდა მრავალ საერთაშორისო კონგრესსა, თუ სამეცნიერო კონფერენციაში. 2016-2022 წწ. იყო თსუ, მიხეილ ნოდის სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის შრომათა კრებულის სარედაქციო კოლეგიის წევრი.

ბატონი მურმან კვინიკაძე იყო საინტერესო მოსაუბრე, მისი ინტერესის სფერო იყო არქეოლოგია, ისტორია და რელიგიის ისტორია. ის იყო თავის პროფესიაზე შეყვარებული ადამიანი, პროფესიონალი თავის საქმის, კარგი მეგობარი, კარგი ხელმძღვანელი, კარგი მეუღლე, მამა და ბაბუა. ბატონი მურმან კვინიკაძე მუდამ ემახსოვრებათ მის მეგობრებს და კოლეგებს.

*სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თსუ ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის კავკასიის
ინსტიტუტი.*

*სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიხეილ
ნოდის სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტი*

ნეკროლოგები

პაპუნა მინდელი

(16.12.1931 – 06.12.2023)

მიხეილ ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის რიგებს გამოაკლდა სასიქადულო პიროვნება – გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი გეოფიზიკოსი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, მიხეილ ნოდიას სახ. გეოფიზიკის ინსტიტუტის გამოყენებითი და ექსპერიმენტული გეოფიზიკის სექტორის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი პაპუნა მინდელი. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოში დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა შემდგომ განვითარებაში.



პ. მინდელი დაიბადა ცნობილი პედაგოგის შალვა მინდელის ოჯახში. 1949 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის მე-6-ე საშუალო ვაჟთა სკოლა, ხოლო 1955 წელს – მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახ. უნივერსიტეტის ფიზიკა-ტექნიკური ფაკულტეტი გეოფიზიკოსის სპეციალობით. იმავე წლიდან ის არის გეოფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომელი. 1956 წლიდან ინსტიტუტის გრავიმეტრიულ განყოფილებაში მიმდინარეობდა კავკასიის ტერიტორიის გრავიმეტრიული აგეგმვა, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სიმძიმის ძალის ანომალიის შესასწავლად, საბოლოოდ კი – დედამიწის ქერქისა და ლითოსფეროს არაერთგვაროვნებების დასადგენად. პ. მინდელი აქტიურად ჩაება განყოფილების როგორც საექსპედიციო სამუშაოებში, ასევე თეორიულ კვლევებში. უნდა აღინიშნოს, რომ პ. მინდელი ერთადერთი გრავიმეტრისტია, რომელმაც გაზომა სიმძიმის ძალის მნიშვნელობა იალბუზის მწვერვალზე და შავი ზღვის ფსკერზე.

1967 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკად. ბ. ბალავაძის სამეცნიერო ხელმძღვანელობით პ. მინდელმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „შავი ზღვის მიდამოებში დედამიწის ქერქის აგებულება და გრავიტაციული ველი“. ის არის კავკასიის გრავიმეტრიული რუქის თანაავტორი. 1972 წელს მან მიიღო უფროსი მეცნიერი თანამშრომლის წოდება სპეციალობაში „გრავიმეტრია“.

1995 წელს გეოფიზიკის ინსტიტუტში პ. მინდელმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ხმელთაშუა ზღვის ევრაზიული სარტყლის აღმოსავლეთ ნაწილის გრავიტაციული ველი და ლითოსფეროს აგებულება“.

2002-2006 წლებში პ. მინდელი ხელმძღვანელობდა გრავიტაციული მოდელირების განყოფილებას. ინსტიტუტში სტრუქტურული ცვლილებების გამო, პ. მინდელი 2006 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მოღვაწეობდა გამოყენებითი და ექსპერიმენტულ სექტორში.

2000 წელს პ. მინდელმა მიიღო აკად. მ. ალექსიძის სახ. პრემია მონოგრაფიისათვის „კავკასიასა და აღმოსავლეთ ზღვისპირეთის ლითოსფეროს გრავიტაციული მოდელი“, ხოლო 2010 წელს – საქართველოს მეცნ. აკადემიის წევრ/კორ. ელიზბარ მინდელის სახ. პრემია მონოგრაფიისათვის „სახელოვანი მამულიშვილი“.

პ. მინდელი იყო 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. მისი სამეცნიერო ხელმძღვანელობით დაცულია საკანდიდატო დისერტაციები, ეწეოდა პედაგოგიურ და საორგანიზაციო საქმიანობას, მათ შორის ინსტიტუტში სპორტულ ღონისძიებებს და სხვ.

წავიდა ჩვენგან შესანიშნავი პიროვნება, ძალიან ლამაზი გარეგნულადაც და გულითაც, კეთილგანწყობილი კოლეგების მიმართ, მისმა უეცარმა სიკვდილმა შეგვაძრწუნა და გული დაგვწყვიტა. დიდებული ადამიანი პაპუნა მინდელი ყოველთვის ემახსოვრებათ მის კოლეგებს.

საგამომცემლო ჯგუფის ხელმ., ლ. დარახველიძე

ПАПУНА ШАЛВОВИЧ МИНДЕЛИ

(16.12.1931 – 06.12.2023)

На 93-ем году жизни скончался известный грузинский геофизик-гравиметрист, главный научный сотрудник Сектора прикладной и экспериментальной геофизики Института геофизики им. М.З. Нодиа, доктор физико-математических наук Папуна Шалвович Миндели, внесший весомый вклад в развитие наук о Земле в Грузии.

П.Ш. Миндели родился в Тбилиси 16 декабря 1931 года в семье известного педагога Шалвы Онисимовича Миндели. В 1949 году закончил 6-ую среднюю мужскую школу г. Тбилиси, а в 1955 году закончил физико-технический факультет Московского государственного университета им. М.В. Ломоносова. С 1955 года П.Ш. Миндели сотрудник Института геофизики АН Грузии. С 1956 года в отделе гравиметрии Института велись работы по гравиметрической съемке территории Кавказа. П.Ш. Миндели участвовал во всех, как в экспедиционных работах отдела, так и в теоретических исследованиях, занимался измерением значений силы тяжести на всей территории Кавказа. Необходимо отметить, что Папуной Шалвовичем Миндели измерены значения силы тяжести на пике горы Эльбрус и на дне Черного моря.

В 1967 году П.Ш. Миндели под научным руководством акад. Б.К. Балавадзе защитил кандидатскую диссертацию на соискание ученой степени кандидата физ.-мат. наук на тему: «Гравитационное поле и строение земной коры в области Черного моря». В 1972 году он получил звание старшего научного сотрудника по специальности «Гравиметрия». В 1955 году защитил докторскую диссертацию на тему: «Гравитационное поле и строение литосферы Восточной части Евразийского пояса Средиземного моря».

П.Ш. Миндели в 2002-2006 гг. – руководитель отдела гравитационного моделирования. С 2006 года в связи с изменениями в структуре Института, он занимает должность ведущего научного сотрудника в секторе прикладной и экспериментальной геофизики

В 2000 г. П.Ш. Миндели получил премию им. акад. М.А. Алексидзе за монографию «Гравитационная модель литосферы Кавказа и Восточного Средиземноморья», а в 2002 году получил премию им. Э.О. Миндели за монографию «Прославленный ученый Элизбар Миндели».

П.Ш. Миндели принимал активное участие в организационной работе института, руководил спортивными мероприятиями, вел педагогическую деятельность и т.д.

Ушел из жизни Папуна Миндели – замечательный человек, благожелательный ко всем, очень красивый и внешностью, и сердцем. Несмотря на преклонный возраст, его пожилым нельзя было назвать. Это был стройный, молодежавый мужчина, на которого везде все устремились свои взоры. Память о нем будет жить вечно.

Рук. издательской группы, Л.К. Дарахвелидзе

გივი გელაძე **(24.07.1939 – 24.07.2023)**

გარდაიცვალა ინსტიტუტის ქანების ფიზიკის განყოფილების 1965-2006 წწ. და გამოყენებითი და ექსპერიმენტალური გეოფიზიკის სექტორის 2006-20016 წწ. უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი გივი გელაძე.

გ. გელაძე დაიბადა 1939 წლის 24 ივლისს პედაგოგების ოჯახში. 1965 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი გეოფიზიკის სპეციალობით. 1965 წლიდან ის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომელია. 1978 წელს გ. გელაძემ დაიცვა დისერტაცია ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: „ცვლად ველებში ქანებისა და მინერალების ელექტროწინააღობისა და დიელექტრიკული შეღწევადობის კვლევა ცვლად ელექტრომაგნიტურ ველში“.

გივი გელაძე იყო კომუნიკაბელური ადამიანი, აღზრდილი ტრადიციულ ქართულ ოჯახში. განსაკუთრებით ყურადღებას აქცევდა უფროსისადმი დამოკიდებულებას, რასაც ითხოვდა არა მარტო ასაკით თავისი უმცროსებისა, არამედ უფროსებისაგანაც. მიუხედავად იმისა, რომ დამთავრებული ქონდა რუსული სკოლა, შესანიშნავად იცნობდა ქართულ კლასიკურ მწერლობას. აღსანიშნავია მისი განსაკუთრებული მეხსიერება, მას ზეპირად ახსოვდა ბევრი ლექსი და პოემაც კი.

გივის ჰქონდა დიდი გატაცება ფეხბურთის სახით. თვითონაც მშვენივრად თამაშობდა და წლების განმავლობაში იყო გეოფიზიკის ინსტიტუტის მინიფეხბურთის გუნდის ლიდერი. ინსტიტუტმა დელისის ლაბორატორიის ტერიტორიაზე გააკეთა საკმაოდ კარგი საფეხბურთო მოედანი, რომელზედაც სათამაშოდ ძალიან ხშირად მოდიოდნენ სხვადასხვა საფეხბურთო გუნდები. ერთხელ გეოფიზიკის ინსტიტუტის გუნდი თბილისის პირველობის ფინალში გავიდა, სადაც სკანდალური მატჩის შემდეგ წააგო პროფესიონალი ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ გუნდთან. მათმა მოქმედებამ განსაკუთრებით აღაშფოთა ბატონი მერაბ ალექსიძე, რომელიც თვითონ ხშირად იღებდა მონაწილეობას თამაშში. საინტერესო ეპიზოდი იყო აგრეთვე 1977 წელს, როცა „გივის გუნდმა“ ითამაშა სერიოზულ ახალგაზრდა ვაკელების გუნდთან, რომელსაც მეთაურობდა მომავალში თბილისის მერი ვანო ზოდელავა. ამ თამაშმა დიდი ინტერესი გამოიწვია, გაიმარჯვა გეოფიზიკამ ანგარიშით 2:1 და შემდეგ გაიმართა საზეიმო ბანკეტი. საინტერესოა, რომ მიუხედავად იმისა, რომ გივი ძალიან გახარებული იყო, მან განაცხადა „ჩვენს შორის თამაში აღარ იქნება მანამ, სანამ ზრდილობიანი არ გახდებით“.

ასეთი კაცი იყო გივი გელაძე, ვაჟკაცი, პირდაპირი და სწორი პრინციპების მქონე ადამიანი, რომელსაც გარეგნული სიმკაცრის ნიღბის ქვეშ ქონდა ახლობლებისა და, განსაკუთრებით, ბავშვობის მეგობრების მიმართ გასაოცარი დამოკიდებულება.

ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტორი ზ. კერესელიძე

ГИВИ ГЕОРГИЕВИЧ ГЕЛАДЗЕ

(24.07.1939 – 24.07.2023)

24 июля 2023 года, в день своего рождения, от тяжелой болезни скончался научный сотрудник института геофизики, академический доктор физ.-мат. наук Гиви Георгиевич Геладзе. Г.Г. Геладзе родился в 1939 году в г. Тбилиси, в семье заслуженных педагогов. В 1965 г окончил физ.-мат. факультет Тбилисского государственного университета им. Ив. Джавахишвили. С 1965 года по 2016 год он сотрудник Института геофизики. В 1978 году Гиви Георгиевич защитил кандидатскую диссертацию на тему: «Исследование электрического сопротивления и диэлектрической проницаемости горных пород и минералов».

Сотрудники Института геофизики всегда будут помнить этого достойного коллегу.

Доктор физ.-мат. наук З. Кереселидзе

სარჩევი – Содержание – Content

დარახველიძე ლ. – თსუ, მ. ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტი – 90 Darakhvelidze L. – M. Nodia Institute of Geophysics, TSU – 90 Даракхвелидзе Л.К. – Институт Геофизики им. М.З. Нодиа, ТГУ – 90	5 – 26
ქირია ჯ., ცაგურია თ., საყვარელიძე ე., დოვგალი ნ., დავითაშვილი ლ., ქუთელია გ. – თურქეთის ძლიერი მიწისძვრის გავლენა ენგურჰესის თაღვან კაშხალზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე Kiria J., Tsaguria T., Sakvarelidze E., Dovgali N., Davitashvili L., Kutelia G. – The Impact of a Strong Earthquake in Turkey on the Engurhesi Arch Dam and its Surrounding Area Кириа Дж., Цагурия Т., Сакварелидзе Е., Довгаль Н., Давиташвили Л., Кутелия Г. – Воздействие сильного землетрясения в Турции на арочную плотину Ингури ГЭС и окружающую территорию	27 – 37
ოდილავაძე დ., იავოლოვსკაია ო. – გეორადიოლოკაციური მეთოდით ცილინდრული ფორმის სამშენებლო კონსტრუქციების დაფარული ნაწილების დადრმავეების განსაზღვრა Odilavadze D., Yavolovskaya O. – Determining the Depth of Pile Structures by Georadar Одилавадзе Д., Яволовская О. – Определение заглубления свайных конструкций методом георадиолокации	38 – 43
ოდილავაძე დ., ჭელიძე თ., იავოლოვსკაია ო. – დიელექტრიკულ გარემოში განთავსებული განსხვავებული დიელექტრიკული შემავსებლებით აგებული ცილინდრული სხეულების გეორადიოლოკაციური სახეები და მათი იდენტიფიცირება ობიექტებთან Odilavadze D., Chelidze T., Yavolovskaya O. – Georadiolocation Images of Cylindrical Bodies Built with Different Dielectric Fillers, Placed in a Dielectric Environment and their Identification with Objects Одилавадзе Д., Челидзе Т., Яволовская О. – Георадиолокационные образы цилиндрических тел, составленных из различных диэлектрических наполнителей и помещенных в диэлектрическую среду, и их идентификация с объектами	44 – 51
გიგებერია მ., ქირია ჯ., ლლონტი ნ. – მარნეულის რაიონის, იაღლუჯა არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ტერიტორიის გამოკვლევა სეისმოძიების მეთოდებით Gigiberia M., Kiria J., Ghlonti N. – Investigation of the Territory of the Existing Agricultural Plot of Land in Yagluja, Marneuli District, Using Seismic Methods Гигиберия М., Кириа Дж., Глonti Н. – Исследование территории существующего земельного участка сельскохозяйственного назначения в Яглудже Марнеульского района сейсмическими методами	52 – 90

- ოდილავაძე დ., ვარამაშვილი ნ., ჭელიძე თ., ღლონტი ნ., ქირია ჯ.,
თარხან-მოურავი ა. – საქართველოს ხელოვნების ეროვნული მუზეუმის
ცენტრალური შესასვლელთან მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე ხეების
შესაძლო გავლენის შესწავლა, გეოფიზიკური მეთოდებით, შენობის
ფასადის მხარეს მდებარე ფუნდამენტზე 91 – 105
- Odilavadze D., Varamashvili N., Chelidze T., Glonti N., Kiria J., Tarkhan-Mouravi A. –
Studying the Possible Impact of the Trees Located Near the Central Entrance of the
National Museum of Art of Georgia on the Foundation on the Facade Side of the
Building Using Geophysical Methods
- Одилавадзе Д., Варамашвили Н., Челидзе Т., Глonti Н., Кириа Дж., Тархан-
Моурави А. – Изучение возможного воздействия деревьев, расположенных у
центрального входа национального музея искусств Грузии, на фундамент с
фасадной стороны здания, геофизическими методами
- ქირია თ., ნიკოლაიშვილი მ., ჩხაიძე თ. – დედამიწის კლიმატის ცვლილების
გამომწვევი მთავარი მიზეზების შესახებ 106 – 111
- Kiria T., Nikolaishvili M., Chkhaidze T. – About the Main Causes of the Earth's
Climate Change
- Кириа Т., Николайшвили М., Чхаидзе Т. – Об основных причинах изменения
климата Земли
- დემეტრაშვილი დ. – მ. ნოდის სახ. გეოფიზიკის ინსტიტუტის ზღვისა და
ატმოსფეროს დინამიკის მოდელირების სექტორში 2011-2023 წწ.-ში
ჩატარებული კვლევები და პერსპექტივები 112 – 121
- Demetrashvili D. – Research Conducted in the Sector of Modeling the Sea and
Atmospheric Dynamics of M. Nodia Institute of Geophysics in 2011-2023 and
Perspectives
- Деметрашвили Д. – Исследования, проведенные в секторе моделирования
динамики моря и атмосферы института геофизики им. М. Нодиа в 2011-2023
гг. и перспективы
- Кереселидзе З.А., Амиранашвили А.Г. – О влиянии капиллярных колебаний
капель на микрофизические и электрические процессы в облаках 122 – 133
- კერესელიძე ზ., ამირანაშვილი ა. – წვეთების კაპილარული რხევების
გავლენის შესახებ დრუბლებში მიმდინარე მიკროფიზიკურ და
ელექტრულ პროცესებზე
- Kereselidze Z., Amiranshvili A. – On the Influence of Capillary Oscillations of Drops
on Microphysical and Electric Processes in Clouds
- კერესელიძე ზ., ვარამაშვილი ნ. – შოვის (საქართველო) კატასტროფის
შესაძლო გამომწვევი მიზეზები 134 – 148
- Kereselidze Z., Varamashvili N. – Possible Causes of Shovi (Georgia) Catastrophe
Кереселидзе З., Варамашвили Н. – Возможные причины катастрофы в Шови (Грузия)
- ჩიხლაძე ვ., ვარამაშვილი ნ. – მთის მყინვარები და დისტანციური
ზონდირება 149 – 167
- Chikhladze V., Varamashvili N. – Mountain Glaciers and Remote Sensing
Чихладзе В., Варамашвили Н. – Горные ледники и дистанционное зондирование

ვარაზანაშვილი ო., გაფრინდაშვილი გ., ელიზბარაშვილი ე., ამირანაშვილი ა., ბასილაშვილი ც., ფუქსი ს. – ბუნებრივი საშიშროებების მოვლენების ახალი პარამეტრული კატალოგები საქართველოსთვის	168 – 177
Varazanashvili O., Gaprindashvili G., Elizbarashvili E., Amiranashvili A., Basilashvili Ts., Fuchs S. – New Parametric Catalogs of Natural Hazard Events for Georgia	
ვარაზანაშვილი ო., გაფრინდაშვილი გ., ელიზბარაშვილი ე., ამირანაშვილი ა., ბასილაშვილი ც., ფუქსი ს. – Новые параметрические каталоги опасных природных явлений для Грузии	
კაჭარავა გ., ბერულავა ნ., მოდრეკელიძე მ., კეკენაძე ე., გელოვანი გ. – საქართველოში სეტყვასაწინააღმდეგო სამუშაოების შედეგები 2016-2022 წლებში	178 – 184
Katcharava G., Berulava N., Modrekelidze M., Kekenadze E., Gelovani G. – Results of Anti-Hail Work in Georgia in 2016-2022	
კაჭარავა გ., ბერულავა ნ., მოდრეკელიძე მ., კეკენაძე ე., გელოვანი გ. – Итоги противоградových работ в Грузии в 2016-2022 гг.	
ვიხსენებთ კოლეგებს	185 – 186
ნეკროლოგები / Некрологи	187 – 190

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

ТБИЛИССКИЙ ГОСУДАРСТВЕННЫЙ УНИВЕРСИТЕТ

им. И. ДЖАВАХИШВИЛИ

მიხეილ ნოდიას სახ. გეოფიზიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. LXXVI, 2023

Transactions of Mikheil Nodia Institute of Geophysics, vol. LXXVI, 2023

Труды Института геофизики им. Михаила Нодиа, т. LXXVI, 2023

ტირაჟი 30 ც.

სამეცნიერო საგამომცემლო ჯგუფის ხელმძღვანელი – ლ. დარახველიძე.

Circulation 30 copy.

Leader of scientifically- publishing group – L. Darakhvelidze.

Тираж 30 экз.

Руководитель научно-издательской группы – Л. К. Дарахвелидзе.

ISSN 1512-1135

E-mail: avtandilamiranashvili@gmail.com; geophysics.transactions@tsu.ge

<https://scholar.google.com/citations?user=EdMkYoYAAAAJ&hl=en>

<http://dspace.gela.org.ge/handle/123456789/254>

თბილისი

Tbilisi 2023 Тбилиси

დამკაბადონებელი
გარეკანის დიზაინერი

ლალი კურდღელაშვილი
მარიამ ებრალიძე

Typesetter
Cover Designer

Lali Kurdghelashvili
Mariam Ebralidze

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 1

1, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0179

Tel 995(32) 225 04 84, 6284/6279

<https://www.tsu.ge/ka/publishing-house>

